ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

საქართველოს მთავარ პროკურორს

ბატონ გიორგი ბადაშვილს

ასლი: სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას

ბატონო გიორგი,

მოგმართავთ სოფელ მოხეში შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში შსს) მიერ განხორციელებული ოპერაციის დროს ადგილობრივი მუსლიმების თვითნებური დაკავებისა და ძალის არაპროპორციული გამოყენების სავარაუდო ფაქტებზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით.

1. საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების მიმოხილვა

ქვემოთ წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების აღწერა დაკავებული პირებისა და მოწმეებისგან ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მიერ აღებულ ახსნა-განმარტებებს, ასევე მედია საშუალებებში გავრცელებულ ინფორმაციასა და ვიდეო მასალას ეყრდნობა.

1.1. სადავო შენობის გადმოცემასთან დაკავშირებული პროცესის აღწერა

მოხეში (ადიგენის მუნიციპალიტეტი) მცხოვრები მუსლიმი თემი, რომელიც სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს, წლების განმავლობაში ხელისუფლებისგან ითხოვს საკულტო ნაგებობის დაბრუნებას, რომელიც მათი თქმით, ყოფილი მეჩეთის შენობაა. მუსლიმი თემის მოთხოვნას ხელისუფლების მხრიდან რაიმე რეაგირება არ მოჰყოლია.

ადგილობრივი მუსლიმების განცხადებით, 2014 წლის 15 ივნისს დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნებისთვის სოფელი მოხისა და სოფელი დერცელის მოსახლეობასთან შემდგარი შეხვედრის დროს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ზ. ენდელაძემ განაცხადა, რომ მუსლიმი თემისგან შესული მოთხოვას მეჩეთის დაბრუნების თაობაზე უახლოეს პერიოდში გამგეობა მუსლიმების სასარგებლოდ გადაწყვეტდა.[1] აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ გუბერნატორის წარმომადგენლები და ჯ. პაქსაძე. დაპირების მიუხედავად, 2014 წლის ივლისში ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შენობისთვის *კულტურის სახლის* სტატუსის მინიჭების თაობაზე, რაც მუსლიმმა თემმა გააპროტესტა. პროტესტის შემდეგ,

[1]ამ მიმართებით იხილეთ: http://sknews.ge/index.php?newsid=3796#.VEqtmCKsVKD

ადიგენის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება შენობისთვის ბიბლიოთეკის სტატუსი მინიჭების თაობაზე, რაც მუსლიმი თემისთვის ასევე მიუღებელი აღმოჩნდა. მუსლიმი მორწმუნეებისთვის განსახილველი შენობა საკრალურია და მიუღებლად მიაჩნიათ მისი ამ მიზნებისთვის გამოყენება. აღნიშნული პრობლემის თაობაზე მუსლიმი თემი აწარმოებდა მოლაპარაკებებსა და კომუნიკაციას საქართველოს მთავრობასთან, მათ შორის, პრემიერ-მინისტრთან (16 ოქტომბრის შეხვედრა ბათუმში)[2], რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან.

სოფელ მოხეში განვითარებულმა მოვლენებმა გამოავლინა სისტემური ხასიათის პრობლემა, რომელიც რელიგიური უმცირესობებისთვის საკულტო-ნაგებობების რესტიტუციის პოლიტიკის არარსებობას უკავშირდება.[3] მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით, რომელსაც კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, სახელმწიფომ დაუბრუნა საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობები, ხელისუფლებას იგივე პოლიტიკა არ გაუტარებია სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან მიმართებით. რელიგიური უმცირესობების კუთვნილი ისტორიული, საკულტო ნაგებობების ძირითადი ნაწილი (როგორც მოქმედი, ისე არამოქმედი), დღეს, სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს და ზოგიერთი მათგანი განადგურების რისკის წინაშე დგას. სახელმწიფოს ამგვარი პოლიტიკა დისკრიმინაციულია და ის დროულ გადაწყვეტას მოითხოვს, რის თაობაზეც სახალხო დამცველი (მათ შორის, კონკრეტულად მოხეს მეჩეთის გადაცემის აუცილებლობის თაობაზე)[4] და საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად უთითებენ. [5]

მიმდინარე მოლაპარაკებების მიუხედავად, 2014 წლის 22 ოქტომბერს ადგილობრივმა ხელისუფლებამ საპოლიციო ძალის გამოყენებით *მოულოდნელად* დაიწყო სადავო შენობის ადგილას კულტურის სახლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება. აღნიშნული ღონისძიების თაობაზე ინფორმაციის მიღების შემდეგ, სოფელ მოხესა და დერცელში მცხოვრებმა მუსლიმებმა სადავო შენობის სიახლოვეს *სპონტანური* შეკრება გამართეს, რასაც პოლიციის მიერ მათი ნაწილის დაკავება და ძალის არაპროპორციული გამოყენება მოჰყვა.

1.2. პოლიციის მიერ თვითნებური დაკავებისა და ძალის გადამეტების ფაქტების აღწერა

შსს-ს მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, სამართალდამცველები შენობის პერიმეტრს შესაძლო დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით იცავდნენ. პოლიციელებმა მოქალაქეებს სიმშვიდისკენ და კანონის დაცვისკენ მოუწოდეს. შეკრებილმა მოქალაქეებმა პოლიციის თანამშრომლებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და პოლიციის ავტომანქანები დააზიანეს. ინციდენტის დროს კი პოლიციამ 11 პირი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით, ხოლო 3 პირი სისხლისსამართლის კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის გაწევა, ჩადენილი ჯგუფურად) დააკავა.[6]

---

[2] ამ მიმართებით იხილეთ: http://sknews.ge/index.php?newsid=4435#.VFFI_TSUeAc

[3]ამ მიმართებით იხილეთ სახალხო დამცველის განცხადება: http://ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-sofel-moxeshi-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit.page

[4]იხ. სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის ანგარიში: http://ombudsman.ge/uploads/other/0/78.pdf ასევე 2010 წლის ანგარიში: http://ombudsman.ge/uploads/other/0/84.pdf

[5]http://www.state.gov/j/drl/rls/irf/religiousfreedom/index.htm#wrapper

[6]ინფორმაციახელმისაწვდომია: http://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/7259

დაკავებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება აჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეკრების მონაწილეების დაკავება თვითნებური იყო და მოკლებული იყო კანონით გათვალისწინებულ საფუძველს. ამასთან, ვლინდება პოლიციის მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების შემთხვევები, როგორც დაკავების მომენტში, ისე იმ დროს, როცა დაკავებული პირი უკვე პოლიციის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ (პოლიციის მანქანაში, პოლიციის განყოფილებაში) იმყოფებოდა.

ადგილობრივი მუსლიმების თქმით, სადავო შენობასთან პოლიციის მობილიზება 22 ოქტომბერს დილით მანამდე დაიწყო, სანამ ადგილზე მშენებლები გამოჩნდებოდნენ. მოწმეების განცხადებით, ადგილზე 30 პიკაპის მანქანა იმყოფებოდა. თავდაპირველად პოლიციელების რიცხვი 50-60 აღწევდა, მოგვიანებით კი ის 100-120-მდე გაიზარდა. ადგილობრივების განცხადებით, პოლიციის რიცხვი 2-ჯერ აღემატებოდა შეკრების მონაწილეების რიცხვს. თვითმხილველების განმარტებით, პოლიციელების რიგებში, იყვნენ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შსს-ს თანამშრომლები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ.

ოპერაციის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ სამცხე-ჯავახეთს გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე, მისი მოადგილე და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელიც.

EMC-ის მიერ გამოკითხული მოწმეები უთითებენ, რომ პოლიციასთან ურთიერთობის დაძაბვა ოთარ მიქელაძის დაკავების ფაქტს მოყვა. ო. მიქელაძე თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ პოლიციას მან დაუსვა შეკითხვა, დაცულია თუ არა საქართველოში რელიგიის თავისუფლება რეალურად, რასაც პოლიციელების მხრიდან აგრესია და მისი მყისიერი დაკავება მოჰყვა. ო. მიქელაძის განცხადებით, დაკავების მომენტში პოლიციამ მას განუცხადა, რომ ის სწორედ *ბევრი ლაპარაკისთვის* დააკავეს. დაკავებულის თქმით, მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია და საკუთარი ფეხით მივიდა პოლიციის მანქანამდე, რომელიც ინციდენტიდან 100-150 მეტრის დაშორებით იდგა. [7]

პოლიციის მანქანაში ჩაჯდომის შემდეგ, ო. მიქელაძე მომხდართან დაკავშირებით ტელეფონით მედიის წარმომადგენლებთან დაკავშირებას ცდილობდა, რასაც მის მიმართ პოლიციის მიერ ძალის გამოყენება (ხელების გადახლართვა, ძალადობრივად ტელეფონის ჩამორთმევა) მოჰყვა.

ო. მიქელაძის თვითნებურ დაკავებას მოჰყვა შეკრების ადგილზე მყოფი მუსლიმების, განსაკუთრებით ქალების გაღიზიანება და ისინი შეეცადნენ პოლიციის მანქანისთვის გზა გადაეკეტათ. თეიმურაზ მიქელაძე, რომელიც სოფელი მოხეს რწმუნებულია და ასევე დაკავებული მიქელაძის შვილია, რომელიც პირადაპირ უყურებდა თუ როგორ სასტიკად სცემდნენ თავის მამას პოლიციელები საპატრულო მანქანაში. თემური მიქელაძე თავის ახსნა-განმარტებაში იხსენებს, რომ პოლიციის ავტომობილი მის წინ მდგარი ქალების მიმართულებით წავიდა და დაჯახების რეალური რისკი შექმნა. მისი თხოვნის მიუხედავად, პოლიციამ მანქანა არ გააჩერა და მეორედ დაეჯახა ქალების ნაკადს, რის შემდეგაც ერთი მოხუცი მუსლიმი კაცი და რამდენიმე ქალი წაიქცა. ამის შემდეგ თ. მიქელაძემ სულიერი აღელვების ნიადაგზე პოლიციის მანქანას ხელი დაარტყა, რასაც პოლიციის მიერ მისი დაკავება და ადგილზე სასტიკი ცემა მოჰყვა. დაკავებული მიხეილ ირემაძე იხსენებს, რომ ხელბორკილ დადებული და მძიმედ ნაცემი თ. მიქელაძე მანქანაში, სადაც სხვა დაკავებულებიც იმყოფებოდნენ, პოლიციელებმა ტომარასავით შეაგდეს.

[7] იხ. http://rustavi2.com/ka/news/1754

თ. მიქალაძე, როგორც სოფლის რწმუნებული, მანამდეც აქტიურად იყო ჩართული სადავო შენობის მუსლიმი თემისთვის გადაცემის მოთხოვნის პროცესში. მოწმეები უთითებენ, რომ შემთხვევის ადგილზე სოფლის რწმუნებული სიტუაციის ნორმალიზებას და სიმშვიდის დამყარებას ცდილობდა, რამაც სავარუდოდ პოლიციის აგრესია გამოიწვია (ჯემალ მიქელაძის ახსნა-განმარტება).

ნაცემი თ. მიქელაძე იხსენებს, რომ ადიგენის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის დაახლოებით 2 საათის განმავლობაში იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომლები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. ადიგენიდან ბორჯომის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის დროს ის ექიმმა შეამოწმა და უნდა დაეფიქსირებინა მისი დაზიანებები. თ. მიქელაძის თქმით, პოლიცია ცემის დროს მას სიტყვიერ შეუყრაცხყოფას აყენებდა და *„შენ თათაროს“* ეძახდა.

სხვა დაკავებული პირები ასევე ყვებიან, რომ ადიგენის პოლიციის განყოფილებაში ისინი პოლიციის მიერ თ. მიქელაძის ცემისა და შეურაცხყოფის თვითმხილველები გახდნენ.

> *„ამის შემდეგ თეიმურაზ მიქელაძე გაყავთ მეორე ოთახისკენ ლანძღვა-გინებით, იგდებენ ფეხქვეშ, უწყებენ ცემას. ვემუდარებოდით არაფერი დაეშავებინათ მისთვის, მაგრამ ყურად არ იღეს ჩვენი თხოვნა.“ (მიხეილ ერემაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება)*
>
> *„ის ალბათ იმიტომ სცემეს, რომ იყო სოფლის რწმუნებული, ემუქრებოდნენ სამსახურის დაკარგვით, ცემდნენ სიცოცხლისთვის საშიშ ორგანოებში, მათ შორის, თავში.“ (მ. ბერიძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება)*

სავარაუდო უკანონო დაკავებისა და ძალის გადამეტების სხვა ეპიზოდი სოფელი დერცელიდან ჩამოსული აქციის მონაწილეების დაკავების ინციდენტს უკავშირდება. აქციაზე დაკავებული დერცელის მაცხოვრებლები ყვებიან, რომ შემთხვევის ადგილზე მათ გამოჩენას პოლიციის მყისიერი აგრესია და მათი განურჩეველი დაკავება მოჰყვა. დაკავებული ზურაბ მიქელაძე იხსენებს, რომ მოხეში ჩამოსვლისთანავე, მათთან აგრესიულად განწყობილი პოლიცია მივიდა და არ აძლევდა მეჩეთის შენობის მიმართულებით გადაადგილების შესაძლებლობას: *„აქციაზე არ მიგვიშვეს, შემოგვესივნენ და დაიწყეს დაპატიმრება, განსაკუთრებით ახალგაზრდების.“* სხვა დაკავებულის, მ. ერემაძის თქმით, მშენებარე ეკლესიასთან ინციდენტის დროს ერთ მუსლიმზე 10 პოლიციელი მოდიოდა. პოლიცია კი მათ ეუბნებოდა: *„თათრები ხართ, უკან დაიხიეთ, აქედან წადითო.“*

სოფელი დერცელიდან ჩამოსული აქციის მონაწილეების დაკავების გარემოებებს დეტალურად აღწერს *მიხეილ ერემაძე: „ეკლესიის მშენებლობის ადგილამდე მივედით და მშვიდობიანი მსვლელობით მეჩეთის მიმართულებით წამოვედით. 5 მეტრიც არ გვქონდა გავლილი, მოვიდა პოლიცია. შექმნეს პოლიციის ჯაჭვი, გზაზე გადაადგილება შეგვიზღუდეს, გაგვაჩერეს და უკან დახევა გვიბრძანეს. ჩვენ დავიწყეთ უკან დაწევა.* მოწმის თქმით, უკან დახევის დროს მათ პოლიცია მიაწვა, რა დროსაც ზოგიერთი აქციის მონაწილე ძირს დავარდა. მ. ირემაძე იხსენებს, რომ პოლიციის მოწოლის დროს ის მიწაზე დავარდა. მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, ასლან ირემაძე და ტარიელ გურგაძე მასთან დასახმარებლად მივიდნენ და ფეხზე წამოყენებას შეეცადნენ, რა დროს <u>ყველანი ისინი</u> პოლიციამ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავა. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს ტ. გურგენაძისა და ა. ირემაძის ახსნა-განმარტებებიც. *„პოლიციამ ყელში წავლებული ხელით, თრევით მიმიყვანა მანქანაში. რომ ვეკითხებოდი რა დავაშავე? მპასუხობდნენ, რომ იქ გავიგებდი“* - ყვება მ. ირემაძე.

მალხაზე ბერიძე, რომელიც იმავე ინციდენტის დროს დააკავეს იხსენებს, რომ ის მიწაზე დავარდნილი მიხეილ ერემაძის წამოყენებას ცდილობდა, როცა პოლიციამ მისი დაკავების ბრძანება გასცა: *„დაახლოებით 7 კაცი მოვიდა და ცემა დამიწყო, დაახლოებით 10 წუთი მცემდნენ, [...] ფიზიკური ძალის გამოყენებით მანქანაში ჩამსვეს და ადიგენში წამიყვანეს."* მისი თქმით, პოლიციამ მისი ცემა დაკავების შემდეგ მანქანაშიც განაგრძო: *„ადიგენში ჩასვლამდე, გზაში მცემეს დ ამომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ფიზიკური დაზიანებების შედეგად მქონდა ტკივილები, ძირითადად თავის არეში."*

სხვა დაკავებული ნოდარ ერემეძე კი ყვება, რომ ინციდენტის დროს პირველი არხის ჟურნალისტი მისგან ინტერვიუს იღებდა, რა დროსაც ის პოლიციამ დააკავა. მას გული აწუხებს და დაკავების დროს შესაბამისი დახმარებაც აღმოუჩინეს.

დაკავებული პირები ყვებიან, რომ ადიგენის განყოფილებაში მიყვანისას მათ ხელბორკილები უკნიდან დაადეს და პოლიციის თანამშრომლები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მიხეილ ირემაძე იხსენებს: *„დაგვაჯინეს სკამზე, შეგვატრიალეს ზურგით და გვითხრეს, თქვენ აქ გასაჩერებლები არ ხართო და თქვენს ადგილს მიგიჩენთო."* იგივე ფაქტს თავის ახსნა-განმარტებაში ადასტურებს დაკავებულ ბადრი გობაძე.

მ. ერემაძე ყვება, რომ მათთვის წაყენებულ ბრალდებას ისინი არ დათანხმდნენ და უარი განაცხადეს ოქმზე ხელის მოწერაზე, რასაც სამართალდამცავების მხრიდან მუქარა მოყვა. *„მოაწერთ კი არა, მეტსაც გააკეთებთო - ასე გვითხრეს და ფიზიკურად დაგვემუქრნენ. ჩვენი მუქარის ქვეშ მოვაწერეთ ხელი"- იხსენებს მ. ერემაძე*

ყველა დაკავებული ყვება, რომ ადგილზე დაკავებისა და ცემის, ისევე როგორც ადიგენის განყოფილებაში გადაყვანის დროს პოლიცია მათ რელიგიური კუთვნილების საფუძველზე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა.

> *„თქვენი თათარი დედა, გაეთრიეთ, თქვე მოთრეულობა." (ნ. ერემაძის ახსნა-განმარტება).*
>
> *„თათრები ხართო, უკან დაიხიეთო, აქედან წადითო" (მ. ირემაძის ახსნა-განმარტება)*
>
> *„მოხუცებულ ქალებზე, თავსაფრიანებზე იყო ცინიკური საუბარი. [..] მესმოდა სხვებს როგორ ეძახდნენ პოლიციელები, ყველას ერთიანად: თქვენი თათარი დედაო" (ბ. გობაძის ახსნა-განმარტება)*

არსებულ სიტუაციაში ადგილობრივი ქრისტიანები არ ჩართულან და ისინი მოვლენებს თვალს შორიდან ადევნებდნენ. მ. ბერიძე და ზ. მიქელაძე უთითებენ, რომ დაკავების დროს მათ გაიგონეს, თუ ერთ-ერთმა პოლიციამ როგორ სთხოვა ადგილობრივ ქრისტიან მაცხოვრებელს 012 დაერეკა და ეთქვა, რომ ადგილზე მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირება მოხდა.

22 ოქტომბერს 11 საათისთვის დაკავებულები ახალციხის დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. არც ერთი დაკავებული არ უთითებს ახალციხის დმი-ში უფლების დარღვევის შესაძლო ფაქტზე. მათი თქმით, იზოლატორში მოთავსებისას მოხდა თითოეული მათგანის სამედიცინო შემოწმება.

როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით დაკავებული პირები უთითებენ, რომ დაკავების დროს და შემდეგაც მათთვის ბრალდება და საკუთარი უფლებები პოლიციას არ განუმარტია.

მეორე დღეს გვაინ ღამით დაკავებულები სასამართლოს წინაშე წარადგინეს. მ. ირემაძე თავის ახსნა-განმარტებაში აცხადებს: *„როცა იზოლატორიდან დავყავდით, პოლიციელები გვეუბნებოდნენ, რასაც გეტყვიან თავს დაუხრით და გაგიშვებენ სახლშიო.“* ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებს სასამართლომ 250 ლარიანი ჯარიმა შეუფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ამ დროისთვის სააპელაციო სასამართლოშია გასაჩვრებული. სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები კი პოლიციამ მეორე დღეს გაათავისუფლა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. აღნიშნული პირები უთითებენ, რომ პოლიციას ისინი არც კი დაუკითხავს.

2. საქმის სამარათლებრივი შეფასება

მოცემულ შემთხვევაში აშკარად ჩანს, რომ პოლიციამ გადამეტებული, არაპროპორციული ძალა გამოიყენა აქციაზე შეკრებილი მუსლიმების მიმართ როგორც დაკავების, ასევე დაკავების შემდეგ პერიოდში, როცა ისინი პოლიციის ფაქტობრივი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და მათგან რისკი აღარ მომდინარეობდა.

ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის შესაბამისად, მშვიდობიანი შეკრება არ მოიცავს დემონსტრაციებს, სადაც ორგანიზატორებს და მონაწილეებს აქვთ აშკარად ძალადობრივი განზრახვა, რასაც მოჰყვება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა.[8] საქმეზე *Nurettin Aldemir and others v. Turkey* სასამართლომ ძალადობრივად არ მიიჩნია ისეთი შეკრება, რომელიც დასაწყისში იყო მშვიდობიანი, თავდაპირველად ძალა გამოიყენა პოლიციამ, რასაც დემონსტრანტების მხრიდან ძალადობრივი პასუხი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში დაზიანდა პოლიციის კუთვნილი ავტომანქანები და პოლიციელთა ჯანმრთელობა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ძალადობრივი პასუხი თავად პოლიციელთა მხრიდან იყო პროვოცირებული. ამგვარად, შესაძლოა საპროტესტო აქციამ ზიანი მიაყენოს პოლიციელთა ჯანმრთელობას, მესამე პირთა საკუთრების უფლებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ამგვარი შეკრება მშვიდობიანად იქნეს მიჩნეული. თავის მხრივ, შესაძლოა შეკრება მავნე შედეგების გარეშე დასრულდეს და ეს უკანასკნელი შეფასდეს, როგორც ძალადობრივი, არამშვიდობიანი. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება შეკრების ორგანიზატორთა და მონაწილეთა მიზანს, კერძოდ, ჰქონდათ თუ არა მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განზრახვა, რომელსაც მოჰყვა საზოგადოებრივი უწესრიგობა.

მშვიდობიანი შეკრების თაობაზე ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად, *მშვიდობიანი* შეკრება მოიცავს: ისეთი იდეების ან მოსაზრებების გავრცელებასაც, რამაც შესაძლოა გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს სხვას; ასევე, მესამე პირების საქმიანობისათვის დროებითი ხასიათის შეფერხებას, ხელის შეშლას და დაბრკოლებას. გარდა ამისა, მშვიდობიან შეკრებაზე უფლება გულისხმობს პასიური წინააღმდეგობის უფლებასაც.

საქმეში *Cristian Ziliberberg against Moldova* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან გამიჯნა აქციის ის მონაწილეები, რომლებიც დასჯად ქმედებას სჩადიან და ისინი, რომლებიც აქციის მიმდინარეობის დროს ინარჩუნებენ მშვიდობიან ქცევას. კერძოდ, სასამართლომ

[8] *Cisse v. France,* application # 51346/99, judgment of 9 April 2002, paras. 35-36;

განაცხადა, რომ `ადამიანი არ კარგავს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, დემონსტრაციის მიმდინარეობისას სპორადული ხასიათის ძალადობის ან სხვა დემონსტრანტების მიერ ჩადენილი დასჯადი ქმედებების გამო, თუკი ინდივიდი ინარჩუნებს მშვიდობიან განზრახვას ან საქციელს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა აქცია თანდათან იძენს ძალადობრივ ხასიათს, პირის მიმართ კონვენციის მე-11 მუხლი აგრძელებს მოქმედებას, თუ მტკიცდება, რომ თავად განმცხადებელი ინარჩუნებს მშვიდობიან განზრახვასა და მოქმედებას.

მოხეს შემთხვევაში მოწმეებისგან მიღებული ახსნა-განმარტებები აჩვენებს, რომ შეკრების მონაწილეების განზრახვა და ქცევა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. გარკვეულ პერიოდში პოლიციის მანქანისთვის წინააღმდეგობის გაწევის ეპიზოდი კი თავად პოლიციის ძალადობრივი ქცევით (აქციის მონაწილეების უკანონო დაკავება და მათ მიმართ ძალის გამოყენება) იყო პროვოცირებული. დაკავებული პირებისა და მოწმეების ახსნა-განმარტებები აჩვენებს, რომ ძირითადი მათგანის დაკავება იმ პირობებში მოხდა, როცა ისინი შეკრების ადგილას მშვიდობიანად გამოხატავდნენ საკუთარ პროტესტს სადავო შენობის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით და არ უწევდნენ რაიმე წინააღმდეგობას პოლიციას, ან არ არვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს (ყველაზე ნათელ მაგალითს, ოთარ მიქელაძის, ასევე სოფელი დერცელიდან ჩამოსული აქციის მონაწილეების დაკავების ეპიზოდი წარმოადგენს).[9] ამ ვითარებაში მათი დაკავების, როგორც სამართალდარღვევის აღკვეთის ღონისძიების გატარების აუცილებლობა ვერ დასაბუთდება და ის თვითნებური და უკანონოა.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ ახდენს დაკავების, როგორც ადმისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების უზრუნველყოფის ზომის ლეგიტიმაციას, რადგან სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არ ამოწმებს ამ მიზნით დაკავების კანონიერების საკითხს. რაც შეეხება სამართალდარღვევის დადგენის კუთხით სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის საკითხს, ახალციხის სასამართლოს გადაწყვეტილება წინა წლების მანკიერი სასამართლო პრაქტიკის მსგავსად, გადაწყვეტილების მიღების დროს ***არსებითად*** პოლიციელების ჩვენებას დაეყრდნო და მიუთითა, *რომ სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებისას ივარაუდება, რომ სამართალდარღვევის გამომვლენ პოლიციის მოხელეს გააჩნია შესაბამისი პროფესიული უნარ-ჩვევები, ადეკვატურად და ობიექტრუად შეაფასოს კონკრეტული ფაქტი, ქმედება* (იხ. გადაწყვეტილების მე-5-6 გვერდები).

შეკრებების დროს პოლიციის მხრიდან ძალის არაპროპორციული გამოყენების შემთხვევებს ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის ქვეშ იხილავს და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვაზე მოთხოვნების დარღვევად განიხილავს. მსგავს საქმეეში სასამართლოს მიერ მოწმდება ის საკითხი, თუ სამართალდამცავმა პირებმა რამდენად აუცილებელი და პროპორციული ძალა გამოიყენეს აქციის მონაწილეების მიმართ და რამდენად ემსახურებოდა ის ლეგიტიმურ მიზანს. ამ მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლის ქვეშ სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი ითხოვს, რომ გამოყენებული შემდეგი უნდა იყოს *მკაცრად აუცილებელი* და *არაგადამეტებული* (indispensable and not excessive)[10] და უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, მათ შორის, სამართალდამრღვევი პირის კანონიერ დაკავების, კანონიერად დაკავებული პირის გაქცევის პრევენციის, ძალადობისგან სხვა პირის ან საკუთარი თავის დაცვის, დარბევისა და

[9] ამ მიმართებით იხილეთ: https://www.youtube.com/watch?v=lLkWQjb5jnc&feature=youtu.be
[10] Izci v Turkey (2013), App. No. 42606/05, 23 July 2013, §54

დაშლისგან შეკრების დაცვის მიზნით სხვა კანონიერი ქმედების განხორციელების ინტერესს.[11] ევროპული სასამართლოს შეფასებით, პოლიციის ან სხვა სახელმწიფო აგენტის მხრიდან ძალის გამოყენება, რომელიც არ იყო აუცილებელი და პროპორციული *prima facie* კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. Pekaslan v Turkey საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ ძალიან ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში პოლიციამ მიერ ფიზიკური ძალის გამოყენება შეიძლება არ ჩაითვალის არაადამინურ მოპყრობად. [12] სასამართლოს შეფასებით, პირის მიმართ ძალის გამოყენება იმ პირობებში, როდესაც ის იმყოფება პოლიციის ძალაუფლებისა და კონტროლის ქვეშ (უკვე დაკავებული, ხელბორკილ დადებული), არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად და ის როგორც წესი წარმოადგენს მე-3 მუხლის დარღვევას. [13]

მე-3 მუხლის შეფასების დროს სასამართლო ადგენს დაზარალებული პირებისთვის მიყენებული ზიანის მასშტავს და იმას მიაღწია თუ არა მან მე-3 მუხლით აკრძალული სისასტიკის ზღვარს. ამასთან, ევროპული სასამართლოს შეფასებით, მე-3 მუხლის საზღვრები ფიზიკური ხასიათის არაადამიანურ მოპყრობასთან ერთად, ფსიქოლოგიურ ტანჯვასაც გულისხმობს.

შეკრებების დროს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა შეიძლება ემსახურებოდეს აქციის მონაწილეების დაშინების ან კონკრეტული სოციალური ჯგუფის მიმართ არაადამინური მოპყრობის მიზანს მათთვის შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით, რასაც გამოხატვის თავისუფლებაზე, როგორც ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებაზე მწარე ეფექტი (*chilling effect*) აქვს. [14]

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიციამ აშკარად გადამეტებული ძალა გამოიყენა ზოგიერი შეკრების მონაწილეების დაკავების დროს (თ. მიქელაძე, მ. ირემაძე, მ. ბერიძე). ზოგიერთი დაკავებულის მიმართ გადამეტებული და აშკარად არაპროპორციული ძალის გამოყენება მოხდა იმ პირობებში, როდესაც ისინი უკვე პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. თ. მიქელაძის შემთხვევაში ჩანს, რომ პოლიციამ მის მიმართ გადამეტებული ძალა გამოიყენა როგორც დაკავების დროს, ისე ადიგენის პოლიციის განყოფილებაშიც, რაც დასტურდება არა ერთი მოწმის ახსნა-განმარტებით (მ. ერემაძე, მ. ბერიძე). თ. მიქელაძეს სერიოზული დაზიანებები გააჩნდა სახის არეში, რომელიც დოკუმენტირებულია ახალციხის დმი-ში სამედიცინო შემოწმების დროს. პოლიციის მანქანით ადიგენის პოლიციაში გადაყვანის დროს უკვე დაკავებული მალხაზე ბერიძის მიმართ ასევე ჰქონდა ადგილი ცემის ფაქტს, რის შედეგადაც მან დაზიანებები მიიღო თავის არეში.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები აჩვენებს, შსს-ს თანამშრომლების მხრიდან პოლიციის შესახებ კანონის 31-ე და 33-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევას.

---

[11] Manfred Nowak & Elizabeth McArthur, 'The Distinction Between Torture and Cruel, Inhuman or Degrading Treatment', 16 Torture (2006) 147, 149.

[12] Pekaslan v Turkey(2012), Apps. Nos. 4572/06 and 5684/06, 20 March 2012, §58.

[13] Ribitsch vAustria(1995), App. No. 18896/91, 4 December 1995, §38;

[14] UN Human Rights Council (UN HRC), Report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association, Maina Kiai,
21 May 2012, A/HRC/20/27, http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/HRC/20/27, ("Kiai 2012 Report"), para. 12.

ამასთან, ადიგენის პოლიციის განყოფილებაში მუსლიმების მიმართ დაფიქსირდა ღირსებისშემლახავი მოპყრობა.

ფაქტობრივი გარემოებები აჩვენებს, რომ პოლიციის თანამშრომლებმა დაკავების დროს, ისევე როგორც ადიგენის პოლიციაში მუსლიმების მიმართ საკუთარ განცხადებებში გამოხატეს რელიგიურ სიძულვილი და მათ ამ ნიშნით სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

აღსანიშნავია, რომ მუსლიმი თემის რელიგიურმა დევნამ ხელისუფლების წარმომადგენლებისა თუ კერძო პირების მხრიდან სისტემური ხასიათი მიიღო, რაც მათში დაუცველობისა და შეურაცხყოფის გრძნობას აჩენს.[15] ამ მიმართებთ განსაკუთრებით აღსანიშნავია, სოფელ ჭელაში 2013 წლის აგვისტოს თვეში მინარეთის დემონტაჟის დროს დაგეგმილი ოპერაცია, როცა პოლიციამ მუსლიმების მიმართ ასევე გამოიყენა არაპროპორციული პოლიციური ძალა და 11-მდე მუსლიმი დააკავა. აღნიშნულ ფაქტს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება და სამართალდამცავი პირების დასჯა არ მოჰყოლია.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკა მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციულია. იმ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს დომინანტი რელიგიური ჯგუფის მხრიდან კანონის დარღვევას (მაგალითად, ქობულეთში პანსიონის შენობასთან რელიგიური ექსტრემისტი ჯგუფის მიერ გადაადგილების თავისუფლებისა და საკუთრებით სარგებლობის შეზღუდვის ფაქტებს პოლიცია ამ დრომდე არ აღკვეთავს და იწყნარებს მისი წევრების უკანონო ქცევას; სოფელ სამთაწყაროში ადგილობრივი ხოჯას ს. ხოზრევანიძის ოჯახზე ადგილობრივი ქრისტიანების თავდასხმისა და მუქარის დროს პოლიციამ არც ერთი პირი არ დააკავა და არც ეფექტური გამოძიების ჩატარება უზრუნველყო) პოლიცია არ იყენებს სამართლებრივი რეაგირების საშუალებებს და არ აღკვეთავს მათ, მაშინ როცა მუსლიმი თემის მიმართ ის რეპრესიულია და არაპროპორციულ ძალას იყენებს. შესაბამისად, ის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ დიფერენცირებულ მოპყრობას ავლენს, რაც რელიგიური ნიშნით მუსლიმი თემის დისკრიმინაციას წარმოადგენს.

ამ პირობებში ცხადია, რომ პოლიციემა დაარღვია *პოლიციის შესახებ* კანონის მე-9 - მე-11 მუხლები, რომელიც კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების დაცვის პრიორიტეტულობის და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს ადგენს.[16]

3. სამართლებრივი მოთხოვნები

ზემოთ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებისა და სამართლებრივი შეფასებების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით:

- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 100–101-ე მუხლების საფუძველზე, დაიწყოთ გამოძიება შსს-ს თანამშრომლების მიერ 22 ოქტომბერს სოფელ მოხეში დაგეგმილი ოპერაციის დროს დაკავებული მუსლიმი პირების უკანონო დაკავებისა და არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტებზე. განსახილველ ეპიზოდში აშკარად იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის 333–ე მუხლის მე–3 ნაწილის ‘ბ’ და ‘გ’

[15] Begheluri and Others v. Georgi (2014,) (Application no. 28490/02), 7 October 2014, para. 145

[16]პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის II თავი.

ქვეპუნქტებით, ასევე 161-ე, 118–ე და 117–ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები პოლიციელების ქმედებაში;

- განსახილველი საქმე პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში ექცევა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეში *prima facie* დგინდება დანაშაულის ნიშნები პოლიციელების ქმედებაში, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 7 ივლისის #34 ბრძანების მე–2 პუნქტის შესაბამისად, საქმე პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნება. შსს-ს თანამშრომლების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის ინტენსივობის გათვალისწინებით, მათი ქმედება არ შეიძლება განხილული იქნას როგორც დისციპლინური სამართალდარღვევა, შესაბამისად, არ არსებობას განსახილველი საქმის შსს-ს გენერალურ ინსპექციაში მისი გადაგზავნის სამართლებრივი საფუძველი.

  ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისთვის არსებითია საქმეზე გამოძიება დამოუკიდებელმა საგამოძიებო ორგანომ ჩაატაროს, რათა გამორიცხული იყოს გამომძიებლის ჩამატარებელი უწყების/პირის ფორმალური და ფაქტობრივი კავშირი დანაშაულის სავარაუდო ჩამდენთან;

- იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგ პოლიციამ არასათანადო ძალა გამოიყენა მიანიჭოთ დაზარალებულის სტატუსი და დაკითხოთ ისინი.

- დაკითხოთ შსს-ს ის თანამშრომლებიც, რომლებიც მონაწილოებდნენ 22 ოქტომბერს სოფელ მოხეში ჩატარებული ოპერაციის განხორციელებასა და მუსლიმების დაკავებასა და გადაყვანაში. ამ მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპოლიციო ოპერაცის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის შესწავლა, რადგან ძალის გადამეტებისა და უკანონო დაკავების შემთვევები არ იყო სპორადული და ის მასშტაბურად განახორციელდა.

გთხოვთ, ინფორმაცია გამოძიების დაწყებისა და მისი მიმდინარეობის შესახებ გვაცნობოთ შესაძლებლად მოკლე ვადაში.

პატივისცემით,

თამთა მიქელაძე

დირექტორი

11.03.2014

დანართები:

1. EMC-ის მიერ თამაზ ირემაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);

2. EMC-ის მიერ მალხაზ ბერიძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
3. EMC-ის მიერ მიხეილ ირემაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
4. EMC-ის მიერ ბადრი გობაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
5. EMC-ის მიერ ჯემალ მიქელაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
6. EMC-ის მიერ ზურაბ მიქელაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
7. EMC-ის მიერ ტარიელ გურგაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
8. EMC-ის მიერ ნოდარ ირემაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
9. EMC-ის მიერ თეიმურაზ მიქელაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14);
10. EMC-ის მიერ ოთარ მიქელაძესთან ჩაწერილი ახსნა-განმარტება (25.10.14).